

შპს “ფუდ მენეჯმენტ გრუპი“

შპს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული
საწყისი ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების საწყისი ანგარიშგება.....	3
მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	5	3019975
რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(1250624)
საერთო მოგება		<u>1769351</u>
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1308829)
სულ საოპერაციო მოგება		<u>460522</u>
სხვა შემოსავალი		2410
სხვა ხარჯი		(3220)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	8	(5105)
მოგება გადასახადით დაბეგრამდე		<u>454607</u>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	11163
წლის მოგება		<u>443444</u>
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული მოგება		<u>443444</u>

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 27 სექტემბერს

მთავარი ბუღალტერი
სალომე ყოლბაია

დირექტორი

ტარიელ ზარანდია

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპი“



დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	194064	168428
არამატერიალური აქტივები	17	11440	4440
სულ გრძელვადიანი აქტივები		205504	172868
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	48992	25837
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12	315055	155428
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	16053	1266
სულ მიმდინარე აქტივები		380100	182531
სულ აქტივები		585604	355399
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	250	250
გაუნაწილებელი მოგება		310434	(69748)
სულ კაპიტალი		310684	69498
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	7528	13913
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7528	13913
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	201912	300313
საგადასახადო ვალდებულება		39983	60950
მოკლევადიანი სესხები		23637	47861
გადასახდელი პროცენტები		1861	1861
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		267392	410984
სულ ვალდებულებები		274921	424897
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		585604	355399
მთავარი ბუღალტერი			
სალომე ყოლბაია			
დირექტორი			
ტარიელ ზარანდია			
შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპი“			

დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებულია. ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების საწყისი ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	250	-	(69,747)	(69,497)
წმინდა მოგება	-	-	443,444	443,444
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	443,444	443,444
გაცემული დივიდენდი	-	-	(63,263)	(63,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	250	-	310,434	310,684

მთავარი ბუღალტერი
სალომე ყოლბაია



ტარიელ ზარანდია

დირექტორი

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპი“



დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წელს, (სარეგისტრაციო ნომერი: 404427624) საქართველოში, ქალაქ თბილისში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრე არის ფიზიკური პირი: ტარიელ ზარანდია 100% წილის მფლობელი.

2012 წლიდან (კომპანიის დაარსებიდან) კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვების წარმოება და მიწოდება მომსახურე კომპანიებისთვის. კომპანია გაყიდვებს მთლიანად აწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კერესელიძის #17ა, ხოლო კომპანიის ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, წყალსადენის #20.

2. მომზადების საფუძველი

2019 წლის 24 სექტემბერს კომპანიამ მოამზადა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს-ის სტანდარტები“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2018 წლის ანგარიშგებისთვის. კომპანიის ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის მიერ ბასსს-ის მიერ გამოშვებულ მსს ფასს-ზე გადასვლის ნაწილია.

კომპანიას აქამდე არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის სხვა რომელიმე სტანდარტების მიხედვით.

საწყისი ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა მსს ფასს-ის სტანდარტების საფუძველზე. ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ყველა მსს ფასს-ის სტანდარტების მოთხოვნები, თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობა არ გამოიყენებს, რომ ამგვარი ცვლილებების გამო მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ საწყისი ფინანსური ანგარიშგებას გარკვეული კორექტირებები დასჭირდეს.

ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს საწყისი ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რადგან მასში არ არის შესული შესაძარისი ფინანსური ინფორმაცია, და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება. ეს შესაძლებელია მხოლოდ შესაძარისი ფინანსური ინფორმაციის შემცველი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადებით.

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები:

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

საწარმო მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას.

აქტივი არის მოკლევადიანი თუ:

- ნაგარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ან ნაგარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ან
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან

ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის რეალიზაცია

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავა მყიდველზე, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები: მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, ოფისის და სხვა აღჭურვილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის ნასყიდობის ღირებულებას, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდამოშების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ თვითღირებულებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მუხლის მისთვის საჭირო ადგილზე და პირობებში მისატანად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით ფუნქციონირება;

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებების და ჩანაცვლებების მთავარ დანახარჯებს, რომელიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ზრდის მათ მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს, აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, მათი გაწევისთანავე.

ძირითად აქტივებზე ცვეთა ირიცხება ისეთი ფორმით, რომ ჩამოიწეროს ცვეთადი ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ის დაანგარიშდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სასესხო ინსტრუმენტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება. .

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც, გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ლარი)

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

4. მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადდა კომპანიის მიერ მსს ფასს-ის სტანდარტზე გადასვლის ფარგლებში.

5. ამონაგები

	2018
წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავალი	3019975
სხვა შემოსავალი	2410
	3022385

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	1250624
	1250624

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2018
ხელფასების ხარჯი	885309
ცვეთა	26529
საიჯარო ქირის ხარჯი	100108
საწვავის ხარჯი	46500
სხვა საოპერაციო ხარჯები	170843
კომუნალური ხარჯები	74489
თანამშრომლის სწავლის დაფინანსების ხარჯი	3200
საბანკო ხარჯი	1851
	1308829

8. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2018
საპროცენტო ხარჯი	5105
	5105

9. მოგების გადასახადი

2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 63263 ოდენობით.

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპი“
 ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (ლარი)

10. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შედგებოდა შემდეგისგან:

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ფურშეტის ინვენტარი	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
თვლილებულია 1 იანვარი 2018	128708	25366	110738	10708	0	0	275520
შემოსვლა	15065	7343	11027	10266	4084	4379	52164
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	143773	32709	121765	20974	4084	4379	327684
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018	39271	6092	58732	2998	0	0	107093
შემოსვლა	12092	3522	9671	821	228	191	26525
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	51363	9614	68403	3819	228	191	133618
საბალანსო ღირებულება	89437	19274	52006	7710	0	0	168427
1 იანვარი 2018 წელი	92410	23095	53362	17155	3856	4188	194066
31 დეკემბერი 2018 წელი							

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპი“

ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ლარი)

11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ნედლეული	48992	25837
	<u>48992</u>	<u>25837</u>

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	258926	130038
	<u>258926</u>	<u>130038</u>

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული ბანკში	14587	1249
	<u>14587</u>	<u>1249</u>

14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5104 ლარს.

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ეროვნულ ვალუტაში	201911	300312
	201911	300312

16. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 250 ლარს.

17. არამატერიალური აქტივი

	31 დეკემბერი, 2018
თვითღირებულება 1 იანვარი 2018 წელი	5363
შემოსვლა	7000
გასვლა	-
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2018 წელი	12363
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება 1 იანვარი 2018 წელი	923
წლიური ამორტიზაცია	-
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება 31 დეკემბერი 2018 წელი	923
წმინდა საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2018 წელი	4440
31 დეკემბერი 2018 წელი	11440

18. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ აქვს არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოებები - 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სახის მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში.

19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.